

## ირაკლი ტაბლიაშვილი

1973.11.03

---

მისამართი: თბილისი, ყაზბეგის ჩიხი #4. ტელ: 2 39 36 04

ელ.ფოსტა: [i.tabliashvili@yahoo.com](mailto:i.tabliashvili@yahoo.com)

განათლება - 1990-1996 - თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

### სამუშაო გამოცდილება

1993 - გაზეთი „ივერია ექსპრესი“	კორესპონდენტი
1994-1995 - გაზეთი „კავკასიონი“	კორესპონდენტი
1995-1996 - გაზეთი „მსგეფსი“	მთ.რედაქტორი
1997 - გაზეთი „თბილისის მიმომხილველი“	რედაქტორი
1998 – 2000 - შპს ჯი-ვი-ეს-ი	მედიასთან ურთიერთობის მენეჯერი
1998-1999 - საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ ნიუსი“	ახალი ამბების რედაქტორი
1998 - გაზეთი „ახალი ქართული გაზეთი“	განყოფილების რედაქტორი
2000-2003 - გაზეთი „მთავარი გაზეთი“	რედაქტორის მოადგილე
2004-2006 - აფხაზეთის ა/რ მთავრობა	საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
2006 - ილიას უნივერსიტეტი	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
2006 – (დღემდე) NGO ABKHAZIA.INFO	დამფუძნებელი, თავმჯდომარე
2011- (დღემდე) NGO VOICE FROM GEORGIA	დამფუძნებელი, თავმჯდომარე
2011 - (დღემდე) DEMOCRACY AND FREEDOM	დამფუძნებელი, თავმჯდომარე

2010-2012 - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი 1. ვებ-გვერდის მთ.პროდიუსერი

2. ჟურნალ „მაუწყებლის რედაქტორი“

- 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის დროს - ევროკავშირისა და გაეროს მოწვეული მედია ექსპერტი პროექტში „მედია მონიტორინგი წინასაარჩევნო პერიოდში“.
- იმ ორგანიზაციებს, რომელთა დამფუძნებელი და თავმჯდომარეც გახლავართ, 2006-2012 წლებში მიღებული აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციების (ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აშშ-ის საელჩო საქართველოში, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, NED (NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY) გრანტები. პროგრამები ეხებოდა საქართველოში დემოკრატიისა და მედიის თავისუფლების განვითარებას, დევნილთა უფლებების დაცვას. ორგანიზაცია NGO ABKHAZIA.INFO - ს მიერ გამოიცემოდა გაზეთ „24 საათის“ ჩანართი „აფხაზეთი“. რადიო „უცნობში“ განხორციელდა პროექტები - რადიოგადაცემები - პირდაპირი საუბრები - „ენგურის ხიდი“ და „დიალოგები ირაკლი ტაბლიაშვილთან“ (ეს უკანასკნელი ეხებოდა საქართველოს ევროინტეგრაციას, გამოწვევებს).

ენები - ქართული (მშობლიური); რუსული (თავისუფლად); ინგლისური (საშუალოდ).

კომპიუტერული პროგრამები - Office პროგრამები.

## ხედვა

მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის პირველ ეტაპზე კონკურსანტებს არ მოეთხოვებათ ხედვის გაცნობა მაუწყებლის ბორდის წევრთათვის თუ ფართო საზოგადოებისათვის, მივიჩნევ, რომ ბიოგრაფიასთან ერთად უნდა წარმედგინა ჩემი ზოგიერთი მოსაზრება მაუწყებლის განვითარებასთან დაკავშირებით.

## მმართველობა

1. საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეიქმნება მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრებიც იქნებიან არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. აგრეთვე - ჟურნალისტები, მედია მკვლევარები და ექსპერტები.
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს ეყოლება 4 მოადგილე, რომელთაგან სამი შეირჩევა არსებულ კონკურსში მონაწილე პირებისაგან.

## რეფორმები

1. პრაქტიკულად ყველა სამსახურში მოხდება კადრების ოპტიმიზაცია. შედეგად, მაუწყებლის თანამშრომელთა რაოდენობა არ გადააჭარბებს 600-700 თანამშრომელს (დღეისათვის, მაუწყებელში მუშაობს დაახლოებით 1000 თანამშრომელი).
2. უკლებლივ ყველა თანამშრომელს, რომელიც რეორგანიზაციის შედეგად დარჩება მაუწყებელში, გაუფორმდება გრძელვადიანი (მინიმუმ 2 წლიანი) კონტრაქტი.

## ახალი სატელევიზიო პროდუქტები

1. პირველ სატელევიზიო სამაუწყებლო არხზე განთავსდება 4-5 ახალი (მათ შორის, ერთი ყოველდღიური) პოლიტიკური თოქ-შოუ. ერთი პოლიტიკური თოქ-შოუ მიეძღვნება საქართველოს ევროინტეგრაციას და ქვეყნის წინაშე არსებულ საგარეო გამოწვევებს. დაიწყება მოლაპარაკებები ევროკავშირთან, ევროსაბჭოსთან და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან აღნიშნული პოლიტიკური თოქ-შოუს გრანტის წესით დაფინანსებასთან დაკავშირებით.
2. სატელევიზიო სამაუწყებლო ბადიდან მოიხსნება უკლებლივ ყველა, მათ შორის რეიტინგული იაფფასიანი გასართობი შოუები, აგრეთვე, ყველა ტელესერიალი.
3. მეორე სატელევიზიო სამაუწყებლო არხი არ შეიცვლის კონცეფციას (კვლავაც დარჩება პოლიტიკურ არხად), თუმცა, გახდება მრავალფეროვანი. კერძოდ, საეთერო დრო დაეთმობათ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსაც.
4. კონკურსის წესით შერჩეულ დამოუკიდებელ სტუდიას გაუფორმდება გრძელვადიანი (ოპტიმალურად ორწლიანი) კონტრაქტი გადაცემის წარმოებაზე, რომელიც შეეხება საგამომიებო ჟურნალისტიკას. კონკურსისა და კონტრაქტის პირობებში განსაზღვრული იქნება, რომ სიუჟეტები უნდა შეეხოს არა მხოლოდ 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე არსებულ, არამედ, პირველი ოქტომბრის შემდეგ მიმდინარე მოვლენებსაც საინფორმაციო მიზეზის არსებობის გათვალისწინებით/შემთხვევაში.
5. გაიხსნება ახალი - ვაშინგტონის და მოსკოვის ბიუროები. ბიუროთა ხელმძღვანელებს ექნებათ ვალდებულება გადმოსცენ რეპორტაჟები სატელევიზიო და რადიოს არხებისათვის.
6. სატელევიზიო ეთერში განთავსდება ახალი გადაცემები (მათ შორის თოქ-შოუები) კულტურის და განათლების შესახებ. განვითარების მეორე ეტაპზე (2014 წლის ბოლოდან) მაუწყებლობას დაიწყებს ახალი ART არხი, რომლის კონცეფციას შემუშავდება მრჩეველთა საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მენეჯმენტისა და მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად 2013-2014 წლებში.
7. შეიქმნება მძლავრი ვებ-მაუწყებლობა დამოუკიდებელი საეთერო ბადით. ვებ-მაუწყებლის თანამშრომლები იქნებიან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. მაუწყებლობა ითანამშრომლებს საზოგადოების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც არ არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის შტატის თანამშრომლები (მაგალითად, ვებ-მაუწყებლის პროდუქტი იქნება ვ-ლოგები, რომლის ავტორებიც შეიძლება იყვნენ მწერლები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, სხვა მედია საშუალებების ჟურნალისტები, სოციალური ქსელების აქტიური მონაწილეები).

8. განახლდება ყოველთვიური ჟურნალის წარმოება, რომლის ავტორებიც იქნებიან არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, არხის ჟურნალისტები, სხვა მედიის საშუალებების წარმომადგენლები. ჟურნალი უფასოდ გავრცელდება საერთაშორისო ორგანიზაციებში, წარმომადგენლობებში, საქართველოს საელჩოებსა და მისიებში საზღვარგარეთ, დიასპორებში, სასტუმროებსა და მსხვილ ბიზნეს სექტორში. ჟურნალი იქნება საიმიჯო ხასიათის.
9. საინფორმაციო პროგრამა „მომხმე“ დიდ ყურადღებას დაუთმობს რეგიონებში მიმდინარე პროცესებს, პრაქტიკულად ყველა რეგიონში შეიქმნება ბიუროები, რომელთა წარმომადგენლებიც პრაქტიკულად ყოველდღიურად მოამზადებენ სატელევიზიო სიუჟეტებს რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ.
10. საინფორმაციო პროგრამა „მომხმე“ გადმოსცემს მხოლოდ ფაქტებს და მაქსიმალურად იქნება თავიდან აცილებული შეფასებები და ჟურნალისტური ინტერპრეტაციები.
11. „მომხმის“ ხელმძღვანელი შეირჩევა კონკურსის წესით და კონკურსსანტებს მოეთხოვებათ ხედვებისა და კონცეფციების წარდგენა.
12. იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად სახლობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, საკაბელო არხებით მოხდება საინფორმაციო, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროდუქტების გავრცელება ეთნიკური უმცირესობების, აგრეთვე, რუსულ ენაზე.
13. საქართველოს იურისდიქციაში შემავალ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, განვითარების მეორე ეტაპზე შეიქმნება საკორესპონდენტო ბიუროები.
14. შეიქმნება დოკუმენტური ფილმების მძლავრი სტუდია, ავტორებად მოწვეულნი იქნებიან ახალგაზრდა დოკუმენტალისტები. 2015 წლიდან სტუდიის მიერ შექმნილი პროდუქცია განთავსდება ახალ ART არხზე.

## **რადიო**

1. მოხდება რადიო მაუწყებლობის კონცეფციათა შექმნა, კერძოდ, პირველი რადიო გარდაიქმნება პოლიტიკურ მაუწყებლობად, ხოლო მეორე რადიო ეთერს დაუთმობს კლასიკურ და თანამედროვე მუსიკას, აგრეთვე, ქართულ, მაღალხარისხიან და პოპულარულ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

## **ფინანსები და სტრატეგია**

2013 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი შეადგენს 31 883 000 ლარს. მაუწყებლის დავალიანება სხვადასხვა კრედიტორების, სახელმწიფოს, აგრეთვე საერთაშორისო პარტნიორების მიმართ არის 13 640 000 ლარი. მოცემულ ეტაპზე, თუ მოხდება დავალიანების სრული გასტუმრება, პრაქტიკულად შეუძლებელია ოპერირება დარჩენილი ბიუჯეტის ფარგლებში.

ხსენებული 13.6 მილიონი ლარიდან სახელმწიფოს მიმართ დავალიანების მოცულობა არის დაახლოებით 7.5-8 მილიონი ლარი. თუ საქართველოს მთავრობა ამთავითვე მოახდენს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის სეკვესტრს და ნაცვლად 31.8 მილიონი ლარისა, მაუწყებელს გაუწერს 23-24 მილიონ ლარს, ნებისმიერი ახალი მენეჯმენტისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება აღნიშნული ბიუჯეტით ოპერირება. ამდენად, სასურველია, თუ მოხდება სახელმწიფოს და სხვა კრედიტორთა ვალის რესტრუქტურისაცია ოპტიმალურად 4-5 წლით იმ ვალდებულების აღებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მომავალში არ ისარგებლებს ახალი შერავათებით/კრედიტებით აღნიშნული 5 წლის განმავლობაში.

აუცილებელია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცოს სწორედ ახალი მენეჯმენტის მიერ წარდგენილი დეტალური ბიუჯეტი მას შემდეგ, რაც კრედიტორებთან, მათ შორის, სახელმწიფოს ხელისუფლებასთან დასრულდება მოლაპარაკებები ვალთა რესტრუქტურისაციის თაობაზე.

თუ ამგვარი მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა, ან, თუ მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ახალ მენეჯმენტს დაავალდებულებს ოპერირებას ახალი დირექტორის არჩევამდე არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, მე ვიღებ ვალდებულებას, რომ გადავდგები თანამდებობიდან.

ვფიქრობ, ახალი დირექტორის მხრიდან გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოხდება ბორდის გადარჩევა ან/და მისი არჩევის წესის შეცვლა.